



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 26 ივნისი

დისციპლინური საქმე №146-18
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2018 წლის 25 მაისის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 25 ივლისის №1627/146-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ --- 2018 წლის 25 მაისის №-- საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 05 სექტემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე --- მიკერძოებულად და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევით განიხილა მის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე.

ამასთან, 2017 წლის 27 დეკემბრის სასამართლო პროცესზე, მოსამართლემ უკანონოდ ჩამოართვა სიტყვის თქმის უფლება და პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლე იყო მიკერძოებული.

--- განცხადებით, მისი მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლო არ უგზავნის სს საქმის მასალებს.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 16 ივნისს, სს საქმე №-- ---, --- და --- მიმართ, არსებითად განსახილველად გადაეცა --- სასამართლოს მოსამართლეს ---.

საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, 2017 წლის 27 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ ---, --- და ---.

მოწმეთა დაკითხვის პროცესში მხარეებს მიეცათ შესაძლებლობა ეწარმოებინათ პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოწმეთა დაკითხვის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა ბრალდებული -- --, თუმცა ბრალდებულის მიერ მოწმეებისთვის დასმულ კითხვებთან დაკავშირებით პროკურორი -- -- ხშირად აცხადებდა პროტესტს და მიმართავდა მოსამართლეს კითხვის განრიდების შუამდგომლობით, რაც უმრავლეს შემთხვევაში გაზიარებულ იქნა სასამართლოს მიერ.

-- -- სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენით -- -- ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების ნაწილში.

-- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ასევე საქართველოს სსკ 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და საქართველოს სსკ 59-ე მუხლის საფუძველზე, სასჯელის სახით განესაზღვრა 09 (ცხრა) წლით თავისუფლების აღკვეთა.

2018 წლის 26 იანვარს, მსჯავრდებულმა -- -- სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენი.

საქმის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტის თანახმად, 2018 წლის 22 თებერვალს, სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცა -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს -- --.

2018 წლის 5 აპრილს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს, რომლითაც ითხოვა მის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემა (საქმე №--).

-- -- სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის №9040 წერილით -- -- ეცნობა, რომ საქმე №-- გასაჩივრდა საპელაციო წესით და საქმე გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში. შესაბამისად, -- -- განცხადება შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა ზემდომ სასამართლოში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევავსოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე. თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.

საქართველოს სსსკ 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაკითხვის დაწყებისთანავე მოწვევის ინიციატორმა მხარემ მოწმეს უნდა შესთავაზოს, თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმესთან დაკავშირებით. პასუხის გაცემისას მისი შეწყვეტინება დაუშვებელია, მაგრამ თუ დასაკითხი პირი საუბრობს იმ გარემოებებზე, რომლებიც აშკარად არ ეხება საქმეს, მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით შეუძლია მისი შეჩერება. ამის შემდეგ დასაკითხ პირს მისი ჩვენების შევსებისა და დაზუსტების მიზნით შეიძლება დაკითხვის ინიციატორმა დაუსვას შეკითხვები ამ კოდექსის 244-ე მუხლის შესაბამისად. პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვა ამ კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო სხდომის აუდიო ჩანაწერების დეტალური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- საქმის არსებითი განხილვის პროცესში მოქმედებდა შეჯობრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვით.

2017 წლის 27 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, მხარეებს და მათ შორის ბრალდებულ -- --, მიეცა შესაძლებლობა ეწარმოებინა მოწმეთა დაკითხვა და დაესვა ყველა მისთვის საინტერესო კითხვა, გარდა იმ კითხვებისა, რომელიც მოსამართლემ მხარეთა ინიციატივით განარდა.

რაც შეეხება მსჯავრდებულის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მას არ უგზავნიან საქმის მასალებს, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქმე გასაჩივრდა სააპელაციო წესით და 2018 წლის 22 თებერვალს, სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცა -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს -- --. შესაბამისად, მსჯავრდებულის სასამართლოსთვის მიმართვის პერიოდისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალები გადაგზავნილი იყო -- სააპელაციო სასამართლოში.

ამდენად, მოსამართლე -- -- საქმის არსებითი განხილვის პროცესში მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და მის ქმედებებში არ იკვეთება დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის

ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 05 სექტემბრის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2018 წლის 25 მაისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვიტა:

-- -- 2018 წლის 25 მაისის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი